

ბუღალტერთა და აუდიტორთა ფედერაციის საგადასახადო კომიტეტის

2025-2027 წლების სამოქმედო გეგმა

ბუღალტერთა და აუდიტორთა ფედერაციის საგადასახადო კომიტეტის მიერ 2025-2027 წლებში დაგეგმილია საგადასახადო დაბეგვრის საკითხებთან დაკავშირებით მრავალი მიმართულებით სხვადასხვა სახის აქტივობების განხორციელება. გეგმაში მოცემულ საკითხებთან დაკავშირებით განსაზღვრულია საკითხის შემსრულებელ პირთა ვინაობა და შესაბამისი აქტივობის შესრულების ვადები. საგადასახადო კომიტეტის მუშაობა არ შემოიფარგლება აღნიშნული აქტივობებით და საჭიროებიდან გამომდინარე შესაძლოა დაიგეგმოს სხვა აქტივობებიც რომელიც ხელს შეუწყობს ბუღალტრისა და აუდიტის პროფესიის წარმომადგენლების მიერ დაბეგვრის სხვადასხვა საკითხების სიდრმისეული გააზრებას, კანონმდებლობის სრულყოფის მიმართულებით მუშაობას, პროფესიის წარმომადგენლების მხარდაჭერას და სხვა სახის აქტივობებს.

2025-2027 წლებში დაგეგმილია აქტივობების განხორციელება შემდეგი მიმართულებით:

№	საკითხი	საფუძველი	შესრულების ვადა	შესრულებაზე პასუხისმგებელი პირი
1	სატელეფონო ზარებისა და ადგილზე კონსულტირებისას გამოვლენილ აქტუალურ საკითხებზე კომიტეტის მიერ პასუხების მომზადება და გამოქვეყნება.	კომიტეტის დებულება მუხლი 4.3.	განისაზღვრება საჭიროების მიხედვით	დავით პაპიაშვილი
2	წერილობით შემოსულ კითხვებზე ბაფის კონსულტანტის მიერ მომზადებული პასუხების პროექტის განხილვა და საბოლოო პასუხის მომზადება მისი ჟურნალში გამოქვეყნებამდე (ან კითხვის ავტორთან გაგზავნამდე);	კომიტეტის დებულება მუხლი 4.4	მომდევნო თვის 5 რიცხვი	კომიტეტის ყველა წევრი
3	რეგულარული შეხვედრები გამართვა ფედერაციის წევრებთან ერთის მხრივ სიახლეებთან და ცვლილებებთან დაკავშირებით, მეორეს მხრივ შეხვედრამდე წევრების მხრიდან წამოსული აქტიალურ საკითხებთან დაკავშირები.	კომიტეტის დებულება მუხლი 4.5	საჭიროებიდან გამომდინარე არანაკლებ წელიწადში ერთხელ	კომიტეტის ყველა წევრი
4	საგადასახადო კანონმდებლობასთან დაკავშირებულ მნიშვნელოვან საკითხებზე, აღრიცხვის სფეროს პროფესიონალების ინტერესიდან გამომდინარე კანონპროექტების საკომიტეტო განხილვებში მონაწილეების მიღება პარლამენტის საკომიტეტო სხდომაზე.	კომიტეტის დებულება მუხლი 4.5		დავით პაპიაშვილი
5	პერიოდულად საგადასახადო კანონმდებლობაში არსებული ხარვეზების განხილვა და შესაბამისი უწყებებისთვის მიმართვის საკითხის დაყენება	კომიტეტის დებულება მუხლი 4.5	საჭიროებიდან გამომდინარე.	კომიტეტის ყველა წევრი
6	ბუღალტერთა გადამზადების პროგრამაში (ACCA და მთავარი ბუღალტრების სერტიფიცირების კურსი) საგადასახადო დაბეგვრის თემატიკის მომზადებაში მონაწილეობა.	კომიტეტის დებულება მუხლი 4.2.	განისაზღვრება საჭიროების მიხედვით	კომიტეტის ყველა წევრი